ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5591200

ნომერი: AR1846480

თარიღი : 03.09.2021

გაცემის თარიღი : 10.09.2021

გაცნობის თარიღი : 11.09.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ნონა გაფრინდაშვილის ქუჩა, N 19;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01003012478
- თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 51

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი კაპანაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "st.ART"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400022104

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ზოდი პლიუსი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 202424313
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ზაურ გაბაიძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61002000241

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 953305 (ცვლილება)
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 2.11.2013

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 953305 (ცვლილება)
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.11.2013

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 03.09.2021 წლის AR1846480 განცხადებით მომართა გიორგი კაპანაძემ და მოითხოვა სამსახურის 02.11.2013 წლის №953305 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება.
სამსახურმა, გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 27.02.2013 წლის №538089 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ქ. ქალაქი თბილისი , მდ.მტკვრის მარცხენა სანაპირო , (ნაკვ. 39/014) / ქალაქი თბილისი , აკ. წერეთლის გამზირი , N 149 , მდ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე , დიღმის ხიდიდან ქსნის ქუჩისკენ , ჩასასვლელ გზასთან / ქალაქი თბილისი , მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, , დიდუბე-დიღმის ხიდთან ;არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. სამსახურის 24.07.2013 წლის №810354 ბრძანებით აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის არქიტექტურული პროექტი შემდეგ განხორციელდა პროექტის ცვლილება 02.11.2013 №953305 ბრძანებით და გაიცა მშენებლობის ნებართვა, წარმოდგენილი დოკუმენტაციით კი დგინდება, სამშენებლო სამუშაოები დღემდე არ არის ნაწარმოები.
საპროექტო მიწის ნაკვეთზე სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების შემდეგ, არაერთხელ შეიცვალა სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა. ძალაში შევიდა საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი და „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილება, რომლებიც ითვალისწინებს მშენებლობის ნებართვის გაცემისადმი ძირეულად განსხვავებულ და გამკაცრებულ მოთხოვნებს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცდა დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმა, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების განახლებული წესები, რომლითაც ასევე დადგინდა მინიმალური მოთხოვნები სამშენებლო მიწის ნაკვეთების მიმართ - ასევე, დამტკიცდა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები და მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები.
აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მშენებლობა ნაწარმოები არ არის და მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ არსებითად შეცვლილია კანონმდებლობის მოთხოვნები, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია განაცხადის დაკმაყოფილება და 02.11.2013 წლის №953305 ბრძანებით გაცემული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელება. საჭიროა ნებართვის აღების პროცედურა დაწყებული უნდა იქნეს თავიდან მოქმედი კანომდებლობის დაცვით.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge